ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი

შინაარსი:

შესავალი 2

ახალგაზრდული საქმიანობა და არაფორმალური განათლება 3

რატომ ახალგაზრდული საქმიანობა 4

რატომ არის კომპეტენციები მნიშვნელოვანი 5

რას ეფუძნება ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო 6

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩოს შერჩევა 8

ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო 9

1. მოქალაქეობრივი კომპეტენცია 10
2. გარემოსდაცვითი კომპეტენცია 18
3. ანალიტიკური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სამეცნიერო კომპეტენცია 22
4. სამეწარმეო და ინიციატივის კომპეტენცია 26
5. შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია 31
6. დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია 33
7. ურთიერთობის კომპეტენცია (საბაზო) 35
8. კულტურული გამოხატვის და კულტურათშორისი ურთიერთობის კომპეტენცია 43
9. ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპეტენცია 48

შესავალი

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა აღიარებს, რომ ახალგაზრდობა ქვეყნისათვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

გლობალიზაციის და მოდერნიზაციის შედეგად მსოფლიო სულ უფროდაუფრო მრავალფეროვანი და ურთიერთდაკავშირებული ხდება. ახალგაზრდები მრავალ გამოწვევასა და სირთულეს ხვდებიან ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ასეთ პირობებში კომპეტენციები, რომლებიც ახალგაზრდებს სჭირდებათ ღირსეული და წარმატებული ცხოვრებისთვის, გახდა უფრო კომპლექსური, უფრო მეტს მოითხოვს ახალგაზრდებისაგან, ვიდრე გარკვეული ვიწრო სპეციფიკის პროფესიის ფლობაა.

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით[1] ახალგაზრდების ასაკი 14-29 წლით არის განსაზღვრული, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რომ, ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანი განხორციელებისთვის, სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკა ორიენტირებული იყოს ბავშვებზე სასკოლო ასაკიდან.

[1] *„საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის № 553 განკარგულებით, 02.04.2015*

ახალგაზრდული საქმიანობა და არაფორმალური განათლება[2]

ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად ახალგაზრდებს ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობები და გამოცდილება სჭირდებათ, ვიდრე ფორმალურ საგანანმანათლებლო ინსტიტუტებში იღებენ. მათ ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე მრავალი ურთიერთგანსხვავებული გარემო მოქმედებს: ოჯახი, სკოლა, სამუშაო ადგილი, თანატოლები, მედია და ა.შ. ამის გათვალისწინებით, ახალგაზრდების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ახალგაზრდული საქმიანობა.

ახალგაზრდული საქმიანობისა და **არაფორმალური განათლების** განვითარება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში, რისთვისაც საქართველოს მთავრობა:

- ხელს უწყობს ახალგაზრდული საქმიანობის გაძლიერებას, ახალგაზრდული მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფესიულ განვითარებას და მათ მიერ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას;
- ზრუნავს, რომ მოხდეს ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად მიღებული გამოცდილებისა და შედეგების აღიარება და ცნობა;
- ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართვას საერთაშორისო ახალგაზრდულ პროგრამებში;
- ხელს უწყობს არაფორმალური განათლების პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

ახალგაზრდული საქმიანობა წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობას ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურებრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას.

ახალგაზრდული საქმიანობა ქმნის კომფორტულ, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს, რომელშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ისწავლონ ერთმანეთისგან და განვითარდნენ. ახალგაზრდულ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ***არაფორმალურ განათლებას.***

[2] *„საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა“, III - პოლიტიკის დოკუმენტში გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტება.*

არაფორმალური განათლება არის ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი, ნებაყოფლობითი პროგრამა, რომელიც არ არის ფორმალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და მიზნად ისახავს კომპეტენციების (ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების) განვითარებას.

რატომ ახალგაზრდული საქმიანობა

საქართველოში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახალგაზრდული საქმიანობა ინსტიტუციურ დონეზე მთლიანად მოიშალა და დღესდღეობით, ხელახლა ხდება აქტუალური მისი განვითარების საჭიროება. ახალგაზრდული საქმიანობის უმთავრეს მიზნებს წარმოადგენს ახალგაზრდების პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა, სოციალური რისკების პრევენცია და ინტეგრაცია, ახალგაზრდების ხელშეწყობა შრომით ბაზარზე და განათლების სისტემებში ინტეგრაციაში და ა.შ. აღნიშნული მიზნების მისაღწევად, ახალგაზრდული საქმიანობა ცდილობს 14-29 წლის მოქალაქეებში განავითაროს გარკვეული კომპეტენციები.

ახალგაზრდული საქმიანობა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდა პიროვნებების ჩამოყალიბებას; ახალგაზრდების, რომელთაც აქვთ პასუხისმგებლიანი და შემოქმედებითი მიდგომა გამოწვევების დაძლევის პროცესში და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალგაზრდული საქმიანობა შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს, განუვითარდეთ კომპეტენციები - ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობისთვის და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისთვის.

ახალგაზრდული საქმიანობა ავსებს ფორმალურ საგანმანათლებლო კონტექსტს (ოჯახი, სამსახური, სკოლა და ა.შ.) და სთავაზობს ახალგაზრდებს ხელშესახებ უპირატესობებს არაფორმალური და ფორმალურს გარე სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობებით და შესაბამისი მიზნობრივი მიდგომებით. განათლება არაფორმალურ გარემოში უმეტესწილად დამოკიდებულია ახალგაზრდის პიროვნულ მოტივაციასა და სწავლის შესაძლებლობებზე. ახალგაზრდა დამოუკიდებლად და ნებაყოფლობით ირჩევს შესაბამის სასწავლო გარემოს. ასეთი ტიპის განათლება უფრო მეტად უწყობს ხელს სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას ახალგაზრდებში, ვინაიდან მათ უნდა

შექმნან და შეინარჩუნონ ურთიერთობები სასწავლო გარემოსთან. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არაფორმალურ განათლებას უფრო დიდი პოტენციალი აქვს პიროვნული და სოციალური კომპეტენციების განვითარებისთვის, ვიდრე ფორმალურს.

რატომ არის კომპეტენციები მნიშვნელოვანი

ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდებს უქმნის მრავალი კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობას, რომლებიც პიროვნული განვითარების გარდა წაადგება თანამედროვე საზოგადოებას.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია იმ საკვანძო კომპეტენციების ჩარჩოს განსაზღვრა, რომლებიც ახალგაზრდებს ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად უნდა განუვითარდეთ. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კომპეტენციების განვითარება მოიცავს უფრო მეტს ვიდრე ცოდნის მიღებაა, კეთილგანწყობილ და უსაფრთხო გარემოში ახალგაზრდებს შეუძლიათ სხვადასხვა კომპეტენციები „ისწავლონ“.

თანამედროვე საზოგადოებები განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს, რომლებიც განსხვავებულ სირთულეებსა და გამოწვევებს ხვდებიან ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებასა და ეკონომიკაში კომპეტენციები აუცილებელია კონკურენტუნარიანობისათვის, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისთვის და სოციალური თანაცხოვრების, თანაბარი შესაძლებლობებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის; ახალგაზრდები უნდა იყვნენ არამხოლოდ ადაპტურები, არამედ ინოვაციურები, კრეატიულები, დამოუკიდებლები და მიზანდასახულები.

კომპეტენცია უფრო მეტია ვიდრე ცოდნა. ის გულისხმობს კომპლექსურ მოთხოვნებთან გამკლავების შესაძლებლობას ფსიქოლოგიური და სოციალური რესურსების მობილიზებითა და გამოყენებით - მათ შორის, უნარებისა და დამოკიდებულებების. მაგალითად, ეფექტიანი კომუნიკაცია არის კომპეტენცია, რომელიც მოითხოვს ახალგაზრდისგან ენის ცოდნას, ინფორმაციული ტექნოლოგიების ფლობის უნარს და დამოკიდებულებას მათ მიმართ, ვისთანაც ახალგაზრდა ახდენს კომუნიკაციას.

კომპეტენციების განსაზღვრა ხელს უწყობს როგორც შეფასებას, თუ რამდენად არიან მომზადებული ახალგაზრდები ცხოვრებისეული გამოწვევებისა და სირთულეების დასაძლევად, ასევე მიზნების იდენტიფიცირებას ახალგაზრდული საქმიანობის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

რას ეფუძნება ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო

საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო შემუშავდა:
“საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“,
"ეროვნული კვლევის ახალგაზრდებისა და მოზარდების მდგომარეობის შესახებ საქართველოში",
„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის“,
„მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის საკვანძო კომპეტენციების შესახებ“ ევროპის პარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციის,
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის **„საკვანძო კომპეტენციების განსაზღვრისა და შერჩევის დოკუმენტის“** საფუძველზე.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩოს მომზადებაში ჩართული იყვნენ ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტი, მოწვეული ექსპერტები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და ახალგაზრდები. 2014 წლის 17 აპრილს გაიმართა შეხვედრა ახალგაზრდულ სექტორთან და ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები ასახული იქნა საკვანძო კომპეტენციების ჩარჩოში.

<u>საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი</u>
„საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ წარმოადგენს კონცეპტუალურ დოკუმენტს, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მთავრობის მიერ ახალგაზრდობასთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებებს და რომელმაც უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავდა ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტს, გაეროს ბავშვთა ფონდსა (UNICEF) და გაეროს მოსახლეობის ფონდს (UNFPA) შორის არსებული პარტნიორობის საფუძველზე, რომელიც შემდგომში გაფართოვდა და მოიცვა სხვა

სამინისტროები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და მკვლევარები. პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში:

- განხორციელდა ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სფეროში არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი და საქართველოს ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარებული კვლევების ანალიზი;
- ჩატარდა ახალგაზრდობის საკითხებზე ეროვნული კონსულტაცია და 57 სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფებთან საქართველოს მასშტაბით;
- განხორციელდა იმ არსებული სამთავრობო სტრატეგიებისა და პროგრამების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაძლებლობების ანალიზი;
- ჩატარდა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის 2 ეროვნული კონფერენცია, ახალგაზრდების, არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციების, სამინისტროების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მკვლევარების მონაწილეობით;
- ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების ფორუმი;
- შეიქმნა ელექტრონული სივრცე, სადაც მსურველებს შეეძლოთ ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიღება პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებით, განხილვებსა და დისკუსიებში მონაწილეობა და საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება.

<u>ეროვნული კვლევა ახალგაზრდებისა და მოზარდების მდგომარეობის შესახებ საქართველოში</u>

კვლევის მიზანი იყო ქვეყანაში ახალგაზრდების ძირითადი საჭიროებებისა და პრობლემების განსაზღვრა, აგრეთვე, ცოდნასა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა. კვლევა 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარდა და მოიცავდა საველე კვლევას და ადმინისტრაციული მონაცემების გაანალიზებას სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტში ჩამოთვლილი პრიორიტეტული სფეროების მიხედვით. კვლევის ფარგლებში 15-29 წლის 2500 რესპოდენტი გამოიკითხა საქართველოს მასშტაბით.

"ეროვნული კვლევა ახალგაზრდებისა და მოზარდების მდგომარეობის შესახებ საქართველოში" ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტს, გაეროს ბავშვთა ფონდსა (UNICEF), გაეროს მოსახლეობის ფონდსა (UNFPA) და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის არსებული პარტნიორობის საფუძველზე განხორციელდა.

<u>ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი</u>

„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 განკარგულებით დამტკიცდა. დოკუმენტის მიზანია განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფა და განსაზღვრავს ქვეყანაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. დოკუმენტი არის ეროვნული სასწავლოს გეგმისა და ზოგადი განათლების სისტემის ძირითადი მაჩვენებლების შემუშავების საფუძველი.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩოს შერჩევა

„სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირების უშუალო მონაწილეობით შეიქმნა და მასში ასახული იქნა საკუთრივ ახალგაზრდების მიერ დასახელებული პრობლემები და გამოწვევები, მათი ინფორმაცია და იდეები; ხოლო ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა "ეროვნულმა კვლევამ ახალგაზრდებისა და მოზარდების მდგომარეობის შესახებ საქართველოში" ხელი შეუწყო ახალგაზრდების ძირითადი საჭიროებებისა და პრობლემების გამოვლენას. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების შერჩევა, უმეტესწილად, ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს ეყრდნობა.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნები და კულტურები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ფასეულობებითა და პრიორიტეტებით, არსებობს საერთო გამოწვევები და პრობლემებიც, რაც უნივერსალური საკვანძო კომპეტენციების შერჩევის შესაძლებლობას იძლევა. თანამედროვე მსოფლიოში საზოგადოებები უფრო მრავალფეროვანი და ურთიერთდაკავშირებული არიან, მათ შორის პიროვნებათშორისი ურთიერთობებით, ხოლო მრავალი გამოწვევა და პრობლემა სცილდება ქვეყნების საზღვრებს, სადაც ახალგაზრდები ცხოვრობენ. „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის საკვანძო კომპეტენციების შესახებ“ ევროპის პარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაცია და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითრების ორგანიზაციის „საკვანძო კომპეტენციების განსაზღვრისა და შერჩევის დოკუმენტი“ ასახავენ უნივერსალურ საკვანძო კომპეტენციებს, რომლებიც ახალგაზრდებს მუდმივად ცვალებად, კომპლექსურ და ურთიერთდამოკიდებულ გარემოსთან ადაპტაციის შესაძლებლობას მისცემს.

გარდა ამისა, საქართველოს მიერ ეროვნული კანონმდებლობის დაახლოვება ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტებთან, მათ შორის „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის საკვანძო კომპეტენციების შესახებ“ ევროპის

პარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციასთან, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულებაა.

ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო

ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო მოიცავს 9 კომპეტენციას:

მოქალაქეობრივი კომპეტენცია: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას დაეხმარება სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად მოქმედებაში, ასევე კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და დაცვაში.

გარემოსდაცვითი კომპეტენცია: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც განაპირობებს მის მიერ ბუნებრივი გარემოს დაცვისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელებას.

ანალიტიკური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სამეცნიერო კომპეტენცია: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას დაეხმარება ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზში, ასევე ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების ეფექტურ გამოყენებაში პირადი, პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრების საკეთილდღეოდ.

სამეწარმეო და ინიციატივის კომპეტენცია: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც უზრუნველყოფს მის მიერ საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვას, იდეების გენერირებასა და განხორციელებას, პრობლემების ანალიზსა და მათ ეფექტიან გადაწყვეტას როგორც საქმიან, ასევე პირად სივრცეში და დაეხმაროს მას, რათა იდეა აქციოს საქმედ.

შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც დაეხმარება უკვე არსებული გამოცდილების და მიღწევების გამოყენებაში ახალი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რათა მან შეძლოს საკუთარი სასწავლო საჭიროებების განსაზღვრა, საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ურთიერთობის კომპეტენცია: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია ინდივიდებსა და ჯგუფებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების დასამყარებლად როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

კულტურული გამოხატვის და კულტურათშორისი ურთიერთობის კომპეტენცია: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას დაეხმარება კულტურულ გამოხატვაში, კულტურული მრავალფეროვნების პოზიტიურ აღქმაში, დაფასებაში, დაცვასა და განვითარებაში.

ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპეტენცია: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას საშუალებას მისცემს, იზრუნოს საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

1. მოქალაქეობრივი კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას დაეხმარება სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად მოქმედებაში. ასევე კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და დაცვაში.

თემატური მოდულები:
1. დემოკრატიის საფუძვლები
2.მონაწილეობა
3.ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები
4.ისტორია და პოლიტიკური იდეოლოგიები
5.პრაქტიკული სამართალი
6. სამოქალაქო თავდაცვა

1. დემოკრატიის საფუძვლები

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• გამოხატავს საკუთარ, როგორც მოქალაქის პასუხისმგებლობას საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და აქვს მის მიმართ მიკუთვნების განცდა • მზადაა ჩაერთოს ქვეყნის დემოკრატიულ მართვაში • აინტერესებს იმ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობა, რომელთა საქმიანობაც მიმართულია დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე • აქვს ჩამოყალიბებული მოსაზრებები და დამოკიდებულებები დემოკრატიისა და მმართველობის სხვა ფორმების ძლიერ და სუსტ მხარეებზე	• შეუძლია დემოკრატიული პრინციპების გატარება ორგანიზაციულ ან/და არაფორმალურ ჯგუფში მუშაობის დროს, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში • შეუძლია განასხვავოს დემოკრატიული პროცესები არადემოკრატიული პროცესებისაგან	• იცის დემოკრატიის არსი და წარმომავლობა • იცნობს დემოკრატიის პრინციპებს და ძირითად მახასიათებლებს (მონაწილეობა, სამართლიანი და რეგულარული არჩევნები, თანასწორობა, ეკონომიკური თავისუფლება, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, დამოუკიდებელი სასამართლო, პოლიტიკური ტოლერანტობა, მრავალპარტიული სისტემა, თავისუფალი მედია, კანონის უზენაესობა და ძალაუფლების გადანაწილება) • იცნობს მმართველობის სხვა ფორმებს და მათ მახასიათებლებს • იცის რომელი ორგანიზაციები მუშაობენ საერთაშორისო დონეზე დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების მიზნით (გაერო, ევროპის საბჭო, ევროკავშირი, ნატო, ეუთო)

2. მონაწილეობა

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოების წინაშე • აქვს მოტივაცია, რომ წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში, მიუხედავად იმისა, მუშაობს დაქირავებულ მუშახელად თუ მოხალისეობრივად • აქვს სოლიდარობის განცდა როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო ინიციატივების მიმართ, ასევე იმ ადამიანებისა თუ ადამიანთა ჯგუფების მიმართ, რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას საკუთარი უფლებების რეალიზებაში • აქვს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პროცესებში მოხალისეობრივი მონაწილეობის ან ამგვარი პროცესების მოხალისეობრივ საწყისებზე ინიცირების მოტივაცია	• შეუძლია საზოგადოებრივი საჭიროებების იდენტიფიცირება • შეუძლია საკუთარი შესაძლებლობისა და რესურსების განსაზღვრა საზოგადოებრივ საქმიანობასთან მიმართებაში • შეუძლია საზოგადოების კონკრეტული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო რესურსების შეფასება, მოზიდვა/მობილიზება, მიზნობრივი განკარგვა და ანგარიშგება • შეუძლია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გაწევა მატერიალური თუ არამატერიალური სარგებლის გარეშე საკუთარი ან სხვის მიერ ინიცირებული საქმიანობების ფარგლებში • შეუძლია სოლიდარობის გამოხატვა • შეუძლია საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად ინიციატივის გამოჩენა, გადასადგმელი ნაბიჯების დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და ანგარიშგება (ფლობს შესაბამის	• იცის მონაწილეობის არსი • იცის მოქალაქეობის/მონაწილეობის განზომილებები (კულტურული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური) • იცის მონაწილეობის დონეები (კიბე) • იცის მონაწილეობის ფორმები და სახეები • აქვს ცოდნა არჩევნების შესახებ - უფლებები და პროცედურები (არჩევნების ფორმები, პროცედურები, საარჩევნო სუბიექტები და სხვ.) • იცის მოხალისეობრივი საქმიანობის არსი, ფორმები და მნიშვნელობა

	სამეწარმეო კომპეტენციებს) ● შეუძლია ითანამშრომლოს სახელმწიფო ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან საზოგადოების წინაშე არსებული ამოცანების გადაჭრის მიზნით ● შეუძლია საკუთარი თავის გადამოწმება საარჩევნო სიებში ცენტრალურ დონეზე და საარჩევნო უბნის მიხედვით ● შეუძლია წინასწარი განცხადების დაწერა არჩევნებში მონაწილეობის ხელშემშლელი ფაქტორების შემთხვევაში ხმის მიცემის ალტერნატიული შესაძლებლობის მოთხოვნით ● შეუძლია დაიცვას ხმის მიცემის პროცედურები ● შეუძლია არჩევნებში მონაწილე კანდიდატების პროგრამის გაცნობა და კრიტიკული შეფასება	

3. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
● აღიარებს ყველა ადამიანის	● შეუძლია ადამიანის უფლებებისა და	● იცის ძირითადი საერთაშორისო

თავისუფლებას და თანასწორობას უფლებებსა და ღირსებაში ● არის ტოლერანტული სხვა ადამიანების მიმართ, განურჩევლად მათი რელიგიური შეხედულების, ეთნიკური წარმომავლობის, რასის, კანის ფერის, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური შეხედულების და განსხვავებული აზრის ქონის, სოციალური წარმომავლობის, ქონების, დაბადების ადგილის თუ სხვა სტატუსის მიუხედავად ● გრძნობს პასუხისმგებლობას და სოლიდარობას სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში.	თავისუფლებების არსის და ისტორიის გააზრება და ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება; ● შეუძლია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ადამიანებთან ურთიერთობაში ● შეუძლია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის იდენტიფიცირება/გამოვლენა ● შეუძლია რეაგირება უფლება დარღვევაზე კანონით გათვალისწინებული წესის დაცვითა და მის ფარგლებში ● შეუძლია საკუთარი სტერეოტიპების, წინაგანსჯების თუ დისკრიმინაციული ქცევების და მათი არსებობის გაცნობიერება;	დოკუმენტები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ (ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია და ბავშვთა უფლებების კონვენცია) ● იცნობს საქართველოში არსებულ მდგომარეობას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით ● იცის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მექანიზმები საქართველოსა და ევროპულ სივრცეში ● იცნობს სტერეოტიპის, წინაგანსჯის და დისკრიმინაციის ცნებებს

4. ისტორია და პოლიტიკური იდეოლოგიები

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
● აღიარებს ტოტალიტარული წარსულის და მისი შედეგების გააზრების საჭიროებას	● აქვს ტოტალიტარული წარსულის ზეგავლენის გაანალიზების უნარი თანამედროვე პოლიტიკაში	● აქვს ინფორმაცია ტოტალიტარული წარსულისა და მისი შედეგების შესახებ როგორც ქართულ, ასევე

თანამედროვე მოვლენებთან კავშირში ● აქვს სოლიდარობის განცდა ტოტალიტარული რეჟიმების, სამხედრო თუ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების და ასევე წარსული თუ არსებული კონფლიქტების მსხვერპლების მიმართ ● აქვს კრიტიკული დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიების პროგრამების და იდეოლოგიების მიმართ ● აქვს კრიტიკული დამოკიდებულება საზოგადოებრივი ფიგურების და ინსტიტუტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების და მოწოდებების მიმართ ● აღიარებს ისტორიული წყაროების არაერთმნიშვნელოვნებას	● აქვს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების და იდეოლოგიის ანალიზის უნარი ● აქვს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის არჩევნებში მოპოვებული წარმატების შედეგად წარმოქმნილი რეალობის წარმოდგენის და ანალიზის უნარი ● აქვს ტოტალიტარული რეჟიმების, სამხედრო თუ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებების და ასევე წარსული თუ არსებული კონფლიქტების მსხვერპლების თანამემამულეებთან და სხვა მგრძნობიარე თემებთან დაკავშირებით პატივისცემის გამოხატვის უნარი ● აქვს სხვადასხვა გავრცელებული/პოპულარული მოსაზრებების თუ ისტორიული ფაქტების კრიტიკულად გაანალიზების უნარი	ევროპულ და მსოფლიო რეალობაში ● იცნობს გენოციდების, ეთნიკური წმენდების, სამხედრო და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებების ფაქტებს, ასევე წარსულ თუ არსებულ კონფლიქტებს და მათ შედეგებს; ● იცნობს ძირითად პოლიტიკურ იდეოლოგიებს (სოციალიზმი, კომუნიზმი, ფაშიზმი, კონსერვატიზმი, ლიბერალიზმი, ანარქიზმი, ეკოლოგიზმი, ფუნდამენტალიზმი, ნაციონალიზმი და ფემინიზმი) ● იცის საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი ფაქტები

5. პრაქტიკული სამართალი

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
● აღიარებს სამართლებრივი ნორმების როლს საზოგადოების ცხოვრებაში	● შეუძლია კანონის ფარგლებში ცხოვრება და მოქმედება	● იცის როგორ ზემოქმედებას ახდენს კანონი ადამიანის ყოველდღიურ

• აღიარებს კანონის უზენაესობას და ადამიანების თანასწორობას კანონის წინაშე • პატივს სცემს სხვის უფლებებს • აღიარებს, რომ უნდა გამოიყენოს დახმარების მიღების საშუალებები სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად და მიმართოს შესაბამის ორგანიზაციებსა თუ პირებს დასახმარებლად	• შეუძლია სამართლებრივი პრობლემების და სხვადასხვა საკითხების გადაჭრის მიზნით შესაბამისი რესურსების, დოკუმენტებისა და მექანიზმების გამოყენება	ცხოვრებაზე და საქმიანობაზე • იცის რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის კონსტიტუციას და რა სახისაა ქვეყნის კანონმდებლობა • იცის კონსტიტუციური, საერთაშორისო, სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული და შრომის სამართლის პრაქტიკული საკითხები • იცის რა უფლებები აქვს და რა მოვალეობები აკისრია საზოგადოების სხვა წევრთა მიმართ • იცის დახმარების მიღების რა საშუალებები არსებობს სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად და რომელ ორგანიზაციებსა თუ პირებს მიმართოს დასახმარებლად

6. სამოქალაქო უსაფრთხოება

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აღიარებს საქართველოს შეიარაღებული ძალების არსებობის მნიშვნელობას • აღიარებს სამოქალაქო უსაფრთხოების წესების ცოდნის	• შეუძლია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სიტუაციების იდენტიფიცირება და შეფასება • შეუძლია საგანგებო სიტუაციებში	• იცის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები • იცის უსაფრთხო ქცევის წესები • იცის პირველადი სამედიცინო დახმარების ძირითადი პრინციპები

მნიშვნელობას და საჭიროებას ● აღიარებს საკუთარ როლსა და პასუხისმგებლობას საგანგებო სიტუაციის დროს	ადეკვატური მოქმედება ● შეუძლია ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის საშუალებების გამოყენება კანონის ფარგლებში ● შეუძლია დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ● შეუძლია საბრძოლო იარაღის გამოყენება კანონით განსაზღვრული წესით ● შეუძლია თვითგადარჩენის მოქმედებების და ღონისძიებების განხორციელება; ● შეუძლია ორიენტირება საბაზისო ტოპოგრაფიის და ნავიგაციის მეთოდების გამოყენებით	● იცის საგანგებო სიტუაციების არსი, კლასიფიკაცია, გამომწვევი მიზეზები, შესაძლო შედეგები და მათი თავიდან აცილების საშუალებები ● იცნობს საქართველოს თავდაცვის სისტემის ძირითად ასპექტებს ● იცნობს ძირითად თანამედროვე საბრძოლო საშუალებებს და უსაფრთხოების წესებს, მათ შორის იარაღთან უსაფრთხოდ მოპყრობის წესებს

2. გარემოსდაცვითი კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც განაპირობებს მის მიერ ბუნებრივი გარემოს დაცვისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელებას.

თემატური მოდულები:

1. გარემო, ბიომრავალფეროვნება და მისი დაცვა
2. განახლებადი ენერგიები და ენერგოეფექტურობა
3. ნარჩენების მართვა

1. გარემო, ბიომრავალფეროვნება და მისი დაცვა

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აცნობიერებს პირად პასუხისმგებლობას გარემოში მიმდინარე პროცესებში, გარემოს დაცვასა და აღდგენაში • აცნობიერებს ბუნებრივი მემკვიდრეობის და ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელობას • აცნობიერებს იშვიათი, ენდემური და გადაშენების პირას მყოფი სახეობების დაცვის მნიშვნელობას	• შეუძლია გარემოსდაცვითი ღონისძიების დაგეგმვა და მართვა • შეუძლია ბუნებრივ გარემოში ოპერირება მისთვის ზიანის მიყენების გარეშე • შეუძლია ბუნებრივი რესურსების შეფასება და რაციონალური გამოყენება • შეუძლია გარემოზე ზემოქმედების შეფასება (ეკოლოგიური ნაკვალევი) • შეუძლია მიმართოს გარემოსდაცვით	• იცნობს საქართველოს ბიომრავალფეროვნებას, მის ძირითად კომპონენტებს და მასზე მოქმედ ძირითად ფაქტორებს • იცის რა არის წითელი ნუსხა • იცნობს იშვიათ, ენდემურ და გადაშენების პირას მყოფ სახეობებს (ფლორა და ფაუნა) და მათი დაცვის წესებს • იცნობს საქართველოს ბუნებრივ გარემოს, ძირითად ეკოლოგიურ

და აუცილებლობას ● მზად არის ჩაერთოს გარემოსდაცვით აქტივობებში და მოუწოდებს სხვებს მსგავსი ჩართულობისკენ ● აქვს სურვილი, გაატაროს დრო ბუნებაში მისთვის ზიანის მიყენების გარეშე ● გამოხატავს გარემოზე ზემოქმედების შემცირების მოტივაციას და მოუწოდებს სხვებს ანალოგიური ქმედებისაკენ	ორგანიზაციებსა და შესაბამის უწყებებს პრობლემების აღმოფხვრის მიზნით ● შეუძლია გაანალიზოს ეკოლოგიური პრობლემების შედეგები მათი გადაუჭრელობის შემთხვევაში ● შეუძლია იშვიათი, ენდემური და გადაშენების პირას მყოფი სახეობების ამოცნობა და მათთან რელევანტური ურთიერთობა	პრობლემებს ● იცნობს ეკოლოგიური პრობლემების გამომწვევ ბუნებრივ და ანთროპოლოგიურ მიზეზებს ლოკალურ და გლობალურ დონეზე ● იცის თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ეკოლოგიური პრობლემებს მათი გადაუჭრელობის შემთხვევაში ● იცნობს საქართველოში არსებულ დაცულ ტერიტორიებს, იცის მათი მნიშვნელობა და დაცულ ტერიტორიებზე ქცევის წესები ● იცის გარემოსდაცვითი აქტივობის ფორმები და მათი ციკლის ეტაპები ● იცის რომელი ორგანიზაციები მუშაობენ საქართველოში და მსოფლიოში გარემოსდაცვით საკითხებზე ● იცის როგორ გაატაროს დროს ბუნებაში ზიანის მიყენების გარეშე

2. ენერგიის წყაროები და ენერგოეფექტურობა

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აცნობიერებს ენერგოეფექტურობის ანუ ენერგიის დაზოგვის მნიშვნელობას • მოტივირებულია, რომ იმოქმედოს ენერგოეფექტურობისათვის აუცილებელი პრინციპების შესაბამისად და მოუწოდებს გარშემომყოფებს მსგავსი ქმედებისკენ	• შეუძლია შეაფასოს და შეარჩიოს ენერგიის დაზოგვის ხერხები/მეთოდები და მოარგოს ისინი ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობას	• იცნობს ენერგიის განახლებად და არგანახლებად წყაროებს და ფორმებს • იცნობს ენერგოეფექტურობის ანუ ენერგიის დაზოგვის ძირითად პრინციპებს და საკითხებს • იცის რა ზემოქმედება შეუძლია მოუტანოს გარემოს სხვადასხვა ენერგიის წყაროების გამოყენებამ

3. დაბინძურება და ნარჩენების მართვა

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აცნობიერებს პირად პასუხისმგებლობას გარემოს დაცვაზე დაბინძურებისაგან • აცნობიერებს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს მნიშვნელობას ადამიანის ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის	• შეუძლია დაბინძურების საწინააღმდეგო (პრევენციული ღონისძიებები, დასუფთავება, ცნობიერების ამაღლება და სხვ.) გარემოსდაცვითი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება • შეუძლია ნარჩენების მინიმიზაცია,	• იცნობს გარემოს დაბინძურების (ჰაერი, წყალი, ნიადაგი) ფორმებს, სახეებს, წყაროებს და შედეგებს • იცის როგორ მოიქცეს გარემოს დაბინძურების ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში • იცნობს პრობლემებს, რომელიც

● აღიარებს გარემოზე მავნე ზემოქმედების მქონე ნივთიერებების (შესაფუთი და გადასატანი მასალები, ქიმიური საშულებები და სხვა) მინიმალურად მოხმარების საჭიროებას და მოუწოდებს სხვა ადამიანებს მსგავსი ქმედებისკენ ● აქვს მოტივაცია არ გადაყაროს არასაჭირო გამოყენებადი) ნივთები და გასცეს ისინი მეორადი მოხმარებისთვის ● ახარისხებს ნარჩენებს და ინტერესს გამოხატავს ნარჩენების გადამუშავების ოპტიმიზაციის პროცესებისადმი ● მოუწოდებს ადამიანებს არ დაყარონ ნარჩენები. მათ შორის ბუნებაში	დახარისხება, უტილიზაცია და განთავსება შესაბამისი წესების დაცვით ● შეუძლია ნარჩენების, განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო ნარჩენების, მართვა (ნარჩენების მინიმიზაცია, დახარისხება, უტილიზაციის და განთავსების წესების გამოყენებით, მათ შორის, ბუნებაში);	დაკავშირებულია ნარჩენების მართვასთან საქართველოში და საზღვარგარეთ

3. ანალიტიკური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სამეცნიერო კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას დაეხმარება ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზში, ასევე ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების ეფექტურ გამოყენებაში პირადი, პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრების საკეთილდღეოდ.

თემატური მოდულები:

1. ციფრული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
2. საინფორმაციო-ანალიტიკური მუშაობა
3. გამოყენებითი მეცნიერება

1.ციფრული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• მიაჩნია, რომ ტექნოლოგიები განახლებადია და განახლებად ტექნოლოგიებს სჭირდება გაცნობა და შესწავლა • ინტერესითა და შემოქმედებითად ეკიდება სიახლეებს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებით. • ახალ მოწყობილობებს აღიქვამს როგორც ტექნოლოგიურ სიახლეს	• ფლობს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს - სხვადასხვა ტიპის სამუშაოს შესასრულებლად, ინფორმაციის მოსაპოვებლად და სხვებთან ურთიერთობებში გამოყენების მიზნით • შეუძლია განსაზღვროს სხვადასხვა ციფრული ტექნოლოგიის დანიშნულება	• იცის ძირითადი თანამედროვე ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიური (ICT) მოწყობილობები • იცის ICT მოწყობილობების დანიშნულება • იცნობს თანამედროვე მოწყობილობების პროგრამულ უზრუნველყოფას • იცის ძირითადი პროგრამების

და ინტერესით ეკიდება მათ, როგორც ინსტრუმენტებს • დაძლეული აქვს შიში ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართ.		დანიშნულება • იცის ინფორმაციის გაგზავნის ფორმები (SMS, ზარი, ელ. ფოსტა, პოსტი ბლოგზე ან ფორუმზე, MMS, BLUETOOTH, ვიდეო-შეტყობინება)

2. საინფორმაციო-ანალიტიკური მუშაობა

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აღიარებს პროაქტიურობის აუცილებლობას ინფორმაციის მოძიებისას • პასუხისმგებლობას იღებს საკუთარი ინფორმირების ხარისხზე, ინფორმაციის დროულად მიღებასა და გაზიარებაზე • მიაჩნია, რომ ინფორმაციის გადასამოწმებლად საჭიროა წყაროების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შედარება • აქვს მოტივაცია გაუზიაროს სხვებს მის მიერ მოპოვებული	• შეუძლია შესაბამისი ინფორმაციის წყაროების იდენტიფიცირება, გამოყენება და ინფორმაციის ხარისხის, შესაბამისობისა და სანდოობის შეფასება • შეუძლია საჭირო და არასაჭირო ინფორმაციის გამიჯვნა და საჭირო ინფორმაციის გამოყენება • შეუძლია ინფორმაციის ანალიზი (დიდი მოცულობის ინფორმაციის დაშლა ნაწილებად, თითოეულ ნაწილზე მოსაზრების ჩამოყალიბება, და დახარისხება) • შეუძლია ინფორმაციის სინთეზი	• იცის ინფორმაციის ტიპები და ფორმები (ვერბალური და არავერბალური, ინფორმაციული და მხატვრული, ანალიტიკური და შემოქმედებითი და სხვა) • იცის სად და როგორ შეიძლება მოიპოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია • იცის ინფორმაციის გაზიარების ფორმები (SMS, ზარი, ელ. ფოსტა, პოსტი ბლოგზე ან ფორუმზე, MMS, ვიდეო-შეტყობინება, კომუნიკატორი პროგრამები, შიდა ქსელები და სხვ.)

მნიშვნელოვანი ინფორმაცია	(სხვადასხვა ინფორმაციით ახალი ინფორმაციის შექმნა, სიახლეების, ანგარიშის, ოქმის, განცხადების, მოსაწვევის დაწერა და სხვა) • შეუძლია ბლოგის შექმნა • შეუძლია სოციალური ქსელების (Facebook, Twitter, Wordpress…) გამოყენება ინფორმაციის შეკრებისა და გავრცელებისთვის • შეუძლია დისკუსიებში მონაწილეობა სოციალური ქსელების გამოყენებით • შეუძლია მიღებული ინფორმაციის გაანალიზება, შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და რეზიუმეს გაკეთება • შეუძლია დასაბუთება და წყაროების მითითება	• იცის აზროვნების დონეები (მაგალითად, ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად)

3. გამოყენებითი მეცნიერება

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• მიაჩნია, რომ სამეცნიერო ტექნოლოგიები განახლებადია და განახლებად ტექნოლოგიებს	• შეუძლია სამეცნიერო მიღწევების გამოყენება პირადი, პროფესიული და საზოგადოებრივი მიზნებისთვის	• იცის თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესები როგორ განხვავდება

სჭირდება გაცნობა და შესწავლა ● აქვს პრაგმატული მიდგომა მეცნიერების მიღწევების მიმართ ● აქვს მოტივაცია თვითონაც იფიქროს სამეცნიერო აღმოჩენებისა და გამოგონებების შესახებ ● ინტერესით ღებულობს მონაწილეობას მარტივ ექსპერიმენტებსა და ცდების ჩატარებაში	(სინთეზი) ● შეუძლია სამეცნიერო მიღწევების ანალიზი (დიდი მოცულობის ინფორმაციის დაშლა ნაწილებად, თითოეულ ნაწილზე მოსაზრების ჩამოყალიბება) ● შეუძლია მარტივი სამეცნიერო ამოცანის დასახვა და მისი შესაბამისი ცდის/ექსპერიმენტის ორგანიზება	ევოლუციის წინა ეტაპის ტექნოლოგიური პროცესებისგან ● იცის სად და როგორ შეიძლება მოიპოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების შესახებ ● იცის სად და როგორ შეიძლება მოიპოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია მეცნიერული აღმოჩენების შესახებ ● იცის თანამედროვე მეცნიერებების ზოგადსაკაცობრიო მიღწევები ● იცის რა არის ჰიპოთეზა, ექსპერიმენტი, ცდა

4. სამეწარმეო და ინიციატივის კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც უზრუნველყოფს მის მიერ საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვას, იდეების გენერირებასა და განხორციელებას, პრობლემების ანალიზსა და მათ ეფექტიან გადაწყვეტას როგორც საქმიან, ასევე პირად სივრცეში და დაეხმაროს მას, რათა იდეა აქციოს საქმედ.

თემატური მოდულები:

1. ინიციატივების გამოჩენა, საპროექტო ფორმით ჩამოყალიბება და განხორციელება
2. კრიზისისა და ცვლილებების მართვა
3. ბიზნესის საფუძვლები და ფინანსების მართვა

1. ინიციატივების გამოჩენა, საპროექტო ფორმით ჩამოყალიბება და განხორციელება

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• სურვილი აქვს დაგეგმოს და მართოს პროცესები • აღიარებს პროაქტიურობისა და ინიციატივის გამოჩენის მნიშვნელობას • აქვს სურვილი, ჩართოს სხვა ადამიანები პროექტის განვითარების ყველა ეტაპზე და გაიზიაროს პასუხისმგებლობა და წარმატებები მათთან ერთად	• შეუძლია წამოაყენოს იდეა • შეუძლია იდეას მისცეს პროექტის ფორმა • შეუძლია დაგეგმოს საქმიანობები • შეუძლია პრობლემების ანალიზი და ამ მიზნით სხვადასხვა მეთოდის გამოყენება (პრობლემების ხე, თევზის ფხა, გონებრივი რუკა...) • შეუძლია საქმიანობის თანმიმდევრობით დალაგება და	• იცის პროექტის შემადგენელი ნაწილები • იცნობს საჭიროებების ანალიზის გზებსა და მეთოდებს • იცის პრობლემების განსაზღვრება • იცის მიზნის ფორმულირება და რომ ის განსხვავდება პრობლემისაგან • იცის, თუ რა არის ამოცანა და

● აღიარებს საზოგადოების წინაშე ანგარიშგების მნიშვნელობას ● მიაჩნია, რომ იდეის განხორციელებისთვის უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და მოახდინოს რესურსების მობილიზება ● პატივს სცემს იმ ადამიანებს, ვისთან ერთადაც ახორციელებს პროექტს ● ორიენტირებულია პროექტის მართვაში ჩართული ადამიანების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე ● პატივს სცემს მიღწეულ შეთანხმებებს და თავს ვალდებულად თვლის, რომ დაიცვას მათი პირობები	აქტივობების დროში გადანაწილება ● შეუძლია რესურსების შეფასება და გადანაწილება საქმიანობების მიხედვით ● შეუძლია პასუხისმგებლობების გადანაწილება პროექტის სამუშაო ჯგუფის/გუნდის წევრებს შორის ● შეუძლია თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმების გამოყენება (თანამშრომლად აყვანა, პროექტის სამუშაო გუნდში ჩართვა, დაქირავება, მოხალისეების მოზიდვა ადამიანის უფლებებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად) ● შეუძლია დროის მართვის ინსტრუმენტების გამოყენება ● შეუძლია რისკების შეფასება, ანალიზი და გათვალისწინება ● შეუძლია რესურსების მობილიზების სხვადასხვა ფორმების და ინსტრუმენტების გამოყენება ● შეუძლია პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი ● შეუძლია პროექტის შედეგების ობიექტური შეფასება გაზომვადი ინდიკატორების მიხედვით ● შეუძლია შედეგების წარდგენა	რით განსხვავდება იგი მიზნისგან ● იცის რა არის სტრატეგია ● იცის, რომ საქმიანობა თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს და საჭიროა აქტივობების დროში განაწილება ● იცნობს საქმიანობების განაწილების ცხრილებსა და ფორმებს ● აქვს ინფორმაცია რესურსების ტიპების შესახებ ● იცის რესურსების გადანაწილების ფორმები პროექტის საქმიანობების შესაბამისად ● იცნობს თანამშრომლობის ფორმებს (ორგანიზაციის თანამშრომლები, პროექტის სამუშაო გუნდი, დაქირავებული პირები, მოხალისეები) ● იცის დროის მართვის მექანიზმები ● იცის რა არის რისკები და როდის უნდა ვიფიქროთ მათზე ● იცის რომ იდეის

	(ანგარიშგება)	განხორციელებისთვის შესაძლებელია რესურსების მობილიზების სხვადასხვა ფორმების და ინსტრუმენტების გამოყენება • იცის შეფასების ფორმები • იცის შედეგების შეფასების ინდიკატორის მნიშვნელობა და მახასიათებლები • იცნობს ანგარიშგების ფორმებს • იცის, რომ არსებობს პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული და ხედვაზე (სურვილზე) ორიენტირებული პროექტები

2. კრიზისისა და ცვლილებების მართვა

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აღიარებს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია მყარი არგუმენტები • გრძნობს პასუხისმგებლობას კრიზისულ სიტუაციაში ინიციატივის გამოჩენაზე	• შეუძლია მდგომარეობის (სიტუაციის) ობიექტურად შეფასება • შეუძლია კონტროლის სფეროს იდენტიფიცირება • შეუძლია გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება	• იცნობს გადაწყვეტილების მიღების სუბიექტურსა და ობიექტურ ფორმებს • იცის მდგომარეობის (სიტუაციის) შეფასების ფორმები (კონტროლის,

• აღიარებს, რომ ცვლილება შეიძლება იყოს როგორც საფრთხე, ასევე შესაძლებლობა • ორიენტირებულია ცვლილებების პოზიტიურ და ძლიერ მხარეებზე • აღიარებს, რომ კრიზისული მდგომარეობა და ცვლილებები ცხოვრების გარდაუვალი და ბუნებრივი შემადგენელია	• შეუძლია რისკების შეფასება და ანალიზი • შეუძლია არჩევანის დასაბუთება • შეუძლია სიტუაციიდან სასწრაფო მოქმედების იდენტიფიცირება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება	გავლენისა და გარე-ფაქტორების სფეროები) • იცის მდგომარეობის (სიტუაციის) შეფასების ინდიკატორის მნიშვნელობა და მახასიათებლები • იცნობს გადაწყვეტილების მიღების ფორმებსა და ხერხებს • იცის, რა არის ცვლილება • იცნობს ცვლილებასთან ადაპტირების ეტაპებს • იცის, რა არის კრიზისული სიტუაცია • იცნობს კრიზისული სიტუაციებზე ადამიანის რეაგირების დესტრუქციულ (დეპრესია, შიში, პანიკა და სხვა) და კონსტრუქციულ (გაცნობიერებული და მიზანზე ორიენტირებული) ფორმებს

3. ბიზნესის საფუძვლები და ფინანსების მართვა

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა

• აღიარებს რომ ინოვაციურობა, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, რისკების მართვა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემების მოგვარება არის ძირითადი ასპექტები სამეწარმეო საქმიანობისთვის; • აღიარებს საკუთარ სამეწარმეო როლს და სამეწარმეო საქმიანობის შესაძლებლობებს; • აღიარებს სამეწარმეო საქმიანობას, როგორც კარიერას; • აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას ბიზნეს-პარტნიორების წინაშე საკუთარი პირობებისა და ამოცანების დროულად შესასრულებლად; • აღიარებს სამეწარმეო საქმიანობის როლს საზოგადოებრივ კეთილდღეობაში	• შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების ანალიზი სამეწარმეო კარიერის კონტექსტში; • შეუძლია მიმზიდველი ბაზრის მოძიება; • შეუძლია საკუთარი იდეისათვის შესაბამისი ბიზნეს-ფორმის მისადაგება • შეუძლია ბიზნეს სიტუაციების კრიტიკული ანალიზი • შეუძლია სამეწარმეო იდეის პრეზენტაცია; • შეუძლია ბიზნეს მოლაპარაკებების წარმოება • შეუძლია შეადაროს დამოუკიდებლად და გუნდთან ერთად ბიზნესის მართვის ძლიერი და სუსტი მხარეები • შეუძლია ფინანსებისა და არაფულადი რესურსების დამოუკიდებლად დაგეგმვა და მართვა • შეუძლია საფინანსო ინსტიტუტებთან (მაგ. ბანკი) ადეკვატური ურთიერთობა	• იცის სამეწარმეო საქმიანობის არსი და მისი ფორმები; • იცის ბიზნესის ორგანიზების ძირითადი ეტაპები (მაგ. ბიზნეს გეგმის შემუშავება); • იცის ძირითადი ბიზნეს-პროცესები; • იცის სამეწარმეო საქმიანობის მართვის ძირითადი პრინციპები; • გააჩნია საბაზისო ფინანსური განათლება, რომელიც აუცილებელია სამეწარმეო საქმიანობისთვის; • იცის თუ როგორ გამოითვლება ხარჯთ-ეფექტურობა; • იცის თუ როგორ ხდება პროდუქტიულობის გამოთვლა და კონკურენტული უპირატესობების გამოვლენა; • იცნობს საქართველოს ბიზნეს-გარემოს და ძირითად მარეგულირებელ კანონმდებლობას • იცნობს სხვადასხვა საფინანსო

		პროდუქტს (კრედიტი, დეპოზიტი და ა.შ.)

5. შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც დაეხმარება უკვე არსებული გამოცდილების და მიღწევების გამოყენებაში ახალი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

თემატური მოდულები:

1. შემოქმედებითობა/კრეატიულობა
2. კრიტიკული აზროვნება

1. შემოქმედობითობა

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აღიარებს შემოქმედებითი მიდგომის აუცილებლობას • საჭიროებისამებრ უგულებელყოფს იგნორირებას, გაკიცხვასა და დაცინვას საზოგადოების გარკვეული ფენების მხრიდან	• შეუძლია მოუძებნოს არაპირდაპირი და არასტანდარტული გამოყენება მატერიალურ რესურსებს • შეუძლია ერთი შეხედვით შეუთავსებელი ცნებებისა და საგნების სინთეზი • შეუძლია შეაფასოს, თუ როდის არის	• იცის, რა არის შემოქმედებითობა • იცნობს მეთოდებს, როგორ შეუძლია სწორხაზოვანი აზროვნებიდან გადავიდეს შემოქმედებით აზროვნებაში • ესმის შემოქმედებითი

	მართებული შემოქმედებითი მიდგომის გამოყენება	მიდგომის დანიშნულება

2. კრიტიკული აზროვნება და დისკუსიის ხელოვნება

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• პატივს სცემს სხვის აზრს • მართავს ემოციებს განხილვის პროცესში • აცნობიერებს მიწოდებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის აუცილებლობას	• შეუძლია კითხვების დასმა • შეუძლია მოსაზრების არგუმენტირება • შეუძლია წყაროების გამოყენება • შეუძლია წყაროების მითითების ორგანიზება • შეუძლია ეფექტური მოსმენა და უკუკავშირის დამყარება • შეუძლია დროის მართვა ურთიერთობის დროს • შეფასებისთვის იყენებს კრიტერიუმებს და ინდიკატორებს • შეუძლია შედარებისთვის შეფასების გამოყენება (ორი ან მეტი მოვლენის ან ობიექტის შედარებისას აფასებს თითოეულს და შეფასების გაზომვადი ინდიკატორების	• იცის შეკითხვის ტიპები • იცნობს დისკუსიის სხვადასხვა ფორმას • იცნობს დებატების ფორმებს • იცის, რომ არსებობს ინფორმაციის პირველადი და მეორეული წყაროები • იცის რომ არსებობს აზროვნების დონეები (ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით)

	მიხედვით გამოაქვს დასკვნა) ● შეუძლია წაკითხულის ან მოსმენილის ინტერპრეტირება ● შეუძლია აზრის წერილობით გადმოცემა ● შეუძლია ტექსტიდან მნიშვნელოვანი ადგილების გამოკვეთა და ახსნა	

6. დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რათა მან შეძლოს საკუთარი სასწავლო საჭიროებების განსაზღვრა, საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში.

დამოკიდებულება	**უნარი**	**ცოდნა**
● სჯერა და აქვს მოტივაცია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის და განვითარების ● აქვს საკუთარი კომპეტენციების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება და მუდმივი	● შეუძლია საკუთარი სასწავლო საჭიროებების განსაზღვრა, სწავლის პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება ● შეუძლია საჭიროებისამებრ სასწავლო პარტნიორის ან მენტორის	● იცის თუ როგორ უნდა დაგეგმოს საკუთარი სასწავლო პროცესი ● იცის თუ როდის, როგორ, რა ფორმით და ვისთან ერთად შეუძლია ისწავლოს ● იცის სწავლის ფორმალური,

სწრაფვა კომპეტენციების სრულყოფისაკენ ● აღიარებს უკუკავშირის მნიშვნელობას სწავლის პროცესში, არის ღია უკუკავშირის მიმართ და მადლიერი მათ მიმართ ვინც აძლევს უკუკავშირს ● არის მოტივირებული ეძიოს პიროვნული და პროფესიული განვითარების გზები ● აღიარებს თვითრეფლექსიის და თვითშეფასების მნიშვნელობას პიროვნული და პროფესიული განვითარების გზაზე ● გრძნობს პასუხისმგებლობას საკუთარი პიროვნული და პროფესიული განვითარების მიმართ ● ესმის დისციპლინის და თვითმოტივირების მნიშვნელობა სწავლის პროცესში	განსაზღვრა ● შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება და თანმიმდევრული, დისციპლინირებული განხორციელება ● შეუძლია საკუთარი თავის მოტივირება სასწავლო პროცესის მიმართ ● შეუძლია საკუთარი კომპეტენციების ობიექტური შეფასება ● შეუძლია თვითრეფლექსია და საკუთარი ემოციების როლის გააზრება სწავლის პროცესისა და პროგრესის ანალიზისას ● შეუძლია პოზიტიურად მიიღოს უკუკავშირი და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები ● შეუძლია ისწავლოს ინდივიდუალურად და ჯგუფთან ერთად	არაფორმალური და ფორმალურს გარე ფორმები და პრინციპები ● იცის, თუ სად შეიძლება მოიძიოს ინფორმაცია სხვადასხვა სასწავლო საჭიროებების მიხედვით ● იცნობს გამოცდილებაზე დამყარებული სწავლის ციკლს ● იცნობს უკუკავშირის მიღებისა და გაცემის პრინციპებს და მეთოდებს ● იცნობს თვითმოტივირების ტექნიკებს ● იცნობს სწავლის შესაძლო ბარიერებს (გარე და შიდა ხელისშემშლელ ფაქტორებს) ● იცნობს ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლის უპირატესობებსა და სუსტ მხარეებს

7. ურთიერთობის კომპეტენცია (საბაზო)

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია ინდივიდებსა და ჯგუფებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების დასამყარებლად როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

თემატური მოდულები:

1. ჯანსაღი კომუნიკაცია
2. გუნდური მუშაობა
3. კონფლიქტების მართვა და არაძალადობრივი ურთიერთობა
4. საქმიანი ურთიერთობები
5. ემოციური ინტელექტი

1. ჯანსაღი კომუნიკაცია

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აღიარებს ჯანსაღი კომუნიკაციის მნიშვნელობას • აღიარებს როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობას • აქვს მოტივაცია, თვალი ადევნოს და აღმოფხვრას კომუნიკაციის ბარიერები საკუთარ თავში და საჭიროების შემთხვევაში მიუთითოს	• შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბება, სხვადასხვა არხით გადაცემა და სხვის მიერ მისი მიღების ხარისხის გადამოწმება • შეუძლია ინფორმაციის დამახინჯების თავიდან აცილება, დამახინჯების იდენტიფიცირება და კორექტირება უკუკავშირის, შეკითხვების დასმისა და აქტიური	• იცის კომუნიკაციის განმარტება და ესმის მისი არსი • იცნობს კომუნიკაციის ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს და ესმის მათი მნიშვნელობა • აქვს ინფორმაცია კომუნიკაციის ელემენტების შესახებ (გამცემი, კოდირება, არხი, მიმღები, დეკოდირება, უკუკავშირი და ა.შ.)

მათს შესახებ მოსაუბრეს ● პატივს სცემს და პასუხისმგებლობით ეკიდება სახელმწიფო ენას ● პატივს სცემს უცხო ენებს ● აქვს სურვილი, იყოს კარგი მოსაუბრე და შეეძლოს ინფორმაციის სრულფასოვნად და საინტერესოდ გადაცემა მსმენელისათვის ● აქვს მოტივაცია, იყოს კარგი მსმენელი, შეეძლოს მოსაუბრისგან ინფორმაციის სრულფასოვნად მიღება, გააზრება და, საჭიროების შემთხვევაში, სწორად გადაცემა მესამე პირთათვის ● პასუხისმგებლობით ეკიდება უკუკავშირის გაცემას მისი წესების სრული დაცვით ● პოზიტიურად აღიქვამს მისკენ მიმართულ უკუკავშირს და მადლიერებას გამოხატავს მისი გამცემის მიმართ	მოსმენის ტექნიკების გამოყენებით ● შეუძლია როგორც სახელმწიფო, ასევე უცხო ენის გამოყენება კომუნიკაციის პროცესში ● შეუძლია უკუკავშირის გაცემა და მიღება დადგენილი წესითა და ფორმებით	და იცის თუ რომელი ელემენტები შეიცავს ინფორმაციის დამახინჯების ყველაზე დიდ რისკს ● იცნობს ჯანსაღი კომუნიკაციის ბარიერებს (ენობრივი, კულტურული, ფსიქოლოგიური და სხვ.) და ამ ბარიერების დაძლევის ხერხებს ● იცის სახელმწიფო და უცხო ენა ● იცნობს შეკითხვების ტიპებს (დახურული და ღია კითხვები) და ესმის მათი მნიშვნელობა ● აქვს ინფორმაცია აქტიური საუბრის მეთოდებსა და ხერხებზე ● იცის, თუ რას ნიშნავს აქტიური მოსმენა და რა როლი აქვს მას ჯანსაღი კომუნიკაციის პროცესში ● აქვს ინფორმაცია უკუკავშირის არსისა და ფუნქციის შესახებ ● იცნობს უკუკავშირის გაცემის და მიღების წესებს

2. გუნდური მუშაობა

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აღიარებს გუნდური მუშაობის მნიშვნელობას • გუნდის ინტერესებს აყენებს პირად ინტერესებზე მაღლა და აქვს მოტივაცია, მთელი ძალისხმევით იმოქმედოს სხვა ადამიანებთან ერთად საერთო მიზნისა და ხარისხიანი შედეგის მიღწევისათვის • აღიარებს სხვა ადამიანების უფლებას, თანასწორად იყვნენ ჩართულნი როგორც გადაწყვეტილების მიღების, ასევე მისი აღსრულება-შეფასების პროცესში • პატივს სცემს თანაგუნდელების მოტივებსა და განსხვავებულობების და პასუხისმგებლობით ეკიდება გუნდის ყველა წევრის უფლებას, მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება საერთო მიზნის მისაღწევად • მზად არის გაუწიოს	• შეუძლია ჯანსაღი კომუნიკაციის უნარების გამოყენება გუნდში მუშაობისას • შეუძლია ნაყოფიერად მონაწილეობა გუნდის მიერ გადაწყვეტილებების მიღების, აღსრულებისა და შეფასების პროცესში • შეუძლია საკუთარი როლის პოვნა გუნდში და მისი ეფექტიანი შესრულება	• იცის გუნდური მუშაობის განმარტება და ესმის მისი არსი • ესმის გუნდური მუშაობის თავისებურებები, უპირატესობები და სუსტი მხარეები ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობასთან მიმართებაში • აქვს ინფორმაცია გუნდის სტრუქტურული თავისებურებებისა და გუნდში როლების შესახებ • აანალიზებს საკუთარ ტიპურ როლებს გუნდური მუშაობის პროცესში • იცნობს გუნდში გადაწყვეტილებების მიღებისა და აღსრულება-შეფასების პროცესის თავისებურებებს • აქვს ინფორმაცია გუნდის განვითარების დინამიკის შესახებ (ფორმირება, შტორმი, ნორმირება, აღსრულება, დაშლა)

თანაგუნდელებს ტექნიკური და მორალური მხარდაჭერა ამგვარი საჭიროების არსებობის შემთხვევაში		

3. კონფლიქტების მართვა და არაძალადობრივი ურთიერთობა

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აღიარებს მშვიდობიანი ცხოვრებისა და ურთიერთობების მნიშვნელობას და მზადაა წვლილი შეიტანოს მშვიდობიანი გარემოს შექმნაში როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში • აღიარებს ემოციური გონიერების მნიშვნელობას კონფლიქტის პრევენციისა თუ მართვის პროცესში • მზადაა ობიექტურობა გამოიჩინოს კონფლიქტური სიტუაციების ანალიზისას მაშინაც კი, როდესაც წარმოადგენს კონფლიქტის ერთ-ერთ მხარეს • ორიენტირებულია კონფლიქტის გადაწყვეტაზე ურთიერთმომგებიანი და არაძალადობრივი ფორმით	• შეუძლია კონფლიქტის რუკის შედგენა • შეუძლია კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრა არაძალადობრივი და შემოქმედებითი გზით • შეუძლია კონფლიქტის იდენტიფიცირება ადრეულ ეტაპზე და მისი პრევენციისათვის/ტრანსფორმაციის თვის შესაბამისი ზომების მიღება • შეუძლია კონსტრუქციული და პოზიტიური მოლაპარაკებების წარმართვა კონფლიქტურ მხარესა თუ მხარეებთან • შეუძლია კონფლიქტურ სიტუაციაში საკუთარი ქმედებების ანალიზი,	• იცნობს კონფლიქტის ძირითად განმარტებებს და ესმის მათი არსი • აქვს ინფორმაცია კონფლიქტის სახეების შესახებ და იცნობს კონფლიქტების შესაბამისი სახეების მაგალითებს საქართველოს და მსოფლიო ისტორიიდან • იცნობს კონფლიქტის გამომწვევ ძირითად მიზეზებსა და ფაქტორებს • აქვს ინფორმაცია კონფლიქტის ესკალაციის ეტაპების შესახებ • იცნობს კონფლიქტის მართვის ძირითად სტრატეგიებს და მათი გამოყენების შესაძლო ფაქტორებსა თუ შედეგებს • ესმის არაძალადობრივი ქცევის არსი • იცნობს გარემოზე რეაგირების

• უარყოფითად აფასებს კონფლიქტის მოგვარების აგრესიულ და ძალადობრივ მეთოდებს • მზადაა დროულად ითხოვოს შესაბამისი დახმარება კონფლიქტური სიტუაციის კონტროლიდან გამოსვლის შემთხვევაში	თვითრეფლექსია და პროაქტიური მოქმედებების დაგეგმვა-განხორციელება • აქვს ემპათიის უნარი • კონფლიქტურ სიტუაციასა თუ მისი პრევენციის მიზნით შეუძლია უკუკავშირის გაცემა და მიღება უკუკავშირის ყველა წესის დაცვით • შეუძლია საკუთარი გრძნობების კონტროლი (ემოციური გონიერება)	ფორმებს (რე-აქტიური და პრო-აქტიური) და მათს მნიშვნელობას კონფლიქტურ სიტუაციაში მოქცევის თვალსაზრისით • იცნობს კონფლიქტის პრევენციის გზებსა და საშუალებებს • იცნობს კონფლიქტის დარეგულირებისათვის აუცილებელ ტექნიკებს (მედიაცია, მოლაპარაკება, უკუკავშირი და სხვ) • იცის, თუ როგორ იმოქმედოს კონფლიქტური სიტუაციის კონტროლიდან გამოსვლის შემთხვევაში

4. საქმიანი ურთიერთობები

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აღიარებს თანამშრომლობის უპირატესობას საქმიანი ურთიერთობების სხვა ფორმებთან შედარებით და პირველ რიგში სწორედ ამგვარი ურთიერთობების დამყარებას ცდილობს თავის	• შეუძლია საქმიანი ურთიერთობების შესაბამისი სტრატეგიის შერჩევა კონკრეტული სიტუაციისა თუ წინაპირობების გათვალისწინებით • აქვს ქსელის/ჯგუფის შიდა კომუნიკაციის წარმართვის ან/და	• აქვს ინფორმაცია საქმიანი ურთიერთობების სტრატეგიებისა და მათი გამოყენების პრინციპების შესახებ (განრიდება, კონკურენცია, კომპრომისი, ადაპტირება და თანამშრომლობა)

მომავალ პარტნიორებთან ● აღიარებს ჯანსაღი დოკუმენტური კომუნიკაციისა და შესაბამისი ეთიკური ნორმების დაცვის მნიშვნელობას საქმიან ურთიერთობებში ● აღიარებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მნიშვნელობას საზოგადოებრივი საქმიანობის წარმოებისას ● თავდაჯერებულია საჯარო გამოსვლის დროს	მასში ეფექტიანად მონაწილეობის უნარი ● შეუძლია საქმიანი კომუნიკაციის ეფექტიანად წარმოება სხვადასხვა ხერხისა თუ პლატფორმის გამოყენებით ● შეუძლია ეფექტური პრეზენტაციის მომზადება და ჩატარება შესაბამისი საპრეზენტაციო პროგრამის (მაგ.,Microsoft PowerPoint ან/და Prezi ან/და სხვა) გამოყენებით ● შეუძლია ეფექტიანი თვითპრეზენტაცია (რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის წერა, ეფექტური გასაუბრება, სიტყვიერი თვითპრეზენტაცია და მოსაუბრის დარწმუნება) ● შეუძლია საკუთარი საქმიანობისა თუ პროდუქტის ეფექტიანად წარდგენა დაინტერესებული პირებისათვის ● შეუძლია საქმიანი მოლაპარაკებების წარმოება და დარწმუნების ტექნიკების გამოყენება ● აქვს საჯაროდ საუბრის უნარი	● იცნობს პარტნიორთა ქსელის შექმნისა და ქსელს შიგნით კომუნიკაციის ძირითად პრინციპებსა და იარაღებს ● აქვს ინფორმაცია საქმიანი კომუნიკაციის ძირითადი პრინციპების, ხერხებისა თუ პლატფორმების შესახებ (საქმიანი მიმოწერა, მათ შორის ელფოსტის გამოყენებით, საქმიანი პროგრამები და კომუნიკაციის პლატფორმები - Google Drive, Dropbox, Facebook, Basecamp და სხვ.) ● იცნობს პრეზენტაციის მომზადებისა და ჩატარების ძირითად პრინციპებს (Microsoft PowerPoint ან/და Prezi ან/და სხვა საპრეზენტაციო პროგრამების გამოყენებით) ● იცნობს თვითპრეზენტაციის ძირითად პრინციპებსა და ხერხებს (რეზიუმეს წერა, Curriculum Vitae [CV]-ის შედგენა, სამოტივაციო წერილის წერა, გასაუბრება, სიტყვიერი თვითპრეზენტაცია, დარწმუნების ხელოვნება) ● იცნობს საზოგადოებასთან

		ურთიერთობის არსსა და ძირითად პრინციპებს ● იცნობს საქმიანი მოლაპარაკების წარმოების და დარწმუნების ხელოვნების ძირითად არსსა და პრინციპებს ● აქვს ინფორმაცია საჯარო გამოსვლის ძირითადი პრინციპების შესახებ

5. ემოციური ინტელექტი

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
● პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ გადაწყვეტილებებზე ● არ აძლევს საკუთარ თავს უკიდურესი ემოციებისა და მათი დესტრუქციული გამოხატვის უფლებას ● აღიარებს ემოციების მართვის აუცილებლობას რაციონალური გადაწყვეტილების მიღებისათვის ● აღიარებს თავაზიანობისა და ეთიკურობის მნიშვნელობას ადამიანებთან ურთიერთობაში	● აქვს საკუთარი ემოციების იდენტიფიცირებისა და გაგების უნარი ● შეუძლია საკუთარი დამოკიდებულებებისა და გადაწყვეტილებების დაცვა გარეფაქტორების დესტრუქციული ზეგავლენისგან ● შეუძლია საკუთარი ემოციური იმპულსების მართვა ● შეუძლია საკუთარი ემოციების მართვა რაციონალური	● ესმის თვითაღქმისა და თვითშემეცნების არსი და მნიშვნელობა ● იცის თვითრეგულაციის ძირითადი პრინციპები და ხერხები ● აქვს წარმოდგენა ურთიერთობის ეთიკის შესახებ ● იცნობს მოტივირებისა და თვითმოტივირების ტექნიკებს ● იცის ემპათიის არსი და მისი მნიშვნელობა ადამიანებთან ურთიერთობაში

• აღიარებს ნებისყოფისა და მოტივაციის მნიშვნელობას წარმატების მიღწევისათვის პირად და საქმიან ცხოვრებაში • არის ემპათიური და მხარდამჭერი გარშემომყოფების მიმართ და აფასებს ემპათიურობას და მხარდაჭერის უნარს სხვებში • მიაჩნია, რომ დახმარების თხოვნა პიროვნულ ღირსებას არ ლახავს • მიაჩნია, რომ ემოციები უნდა იყოს გამოხატული შესაბამისი ფორმებით და მოქმედებებით • აქვს კონსტრუქციული დამოკიდებულება საკუთარი და სხვისი შეცდომების მიმართ და გამოხატავს მათი საშუალებით სწავლის მზაობას	გადაწყვეტილებების მისაღებად • შეუძლია უარის თქმა ან დათანხმება საჭიროების მიხედვით • შეუძლია ცვლილებებთან სწრაფი ადაპტირება • შეუძლია თავაზიანი და ეთიკური ურთიერთობა გარშემომყოფებთან • შეუძლია მოტივირება და თვითმოტივირება, უარის თქმა ამჟამინდელ მცირედ სარგებელზე მომავალში უკეთესი შედეგის მისაღწევად • აქვს ემპათიის უნარი • შეუძლია ითხოვოს დახმარება ღიად და პირდაპირ პრობლემის მითითებით • შეუძლია საკუთარი ემოციების ადეკვატური გამოხატვა • შეუძლია შეცდომების პატიება როგორც გარშემომყოფთათვის, ასევე საკუთარი თავისთვის	• იცის, რომ შეცდომის დაშვებას აქვს როგორც საფრთხე, ასევე შესაძლებლობა, მიიღო გამოცდილება და ისწავლო

8. კულტურული გამოხატვის და კულტურათშორისი ურთიერთობის კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას დაეხმარება კულტურულ გამოხატვაში, კულტურული მრავალფეროვნების პოზიტიურ აღქმაში, დაფასებაში, დაცვასა და განვითარებაში.

თემატური მოდულები:

1. კულტურათაშორისი განათლება
2. კულტურათაშორისი კომუნიკაცია
3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
4. კულტურული თვითგამოხატვა ხელოვნების და შემოქმედების საშუალებით

1. კულტურათაშორისი განათლება

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• პოზიტიურად აფასებს კულტურულ მრავალფეროვნებას და შეხედულებებისა და პრაქტიკის პლურალიზმს • პატივს სცემს იმ ადმიანებს, რომელთაც მისგან განსხვავებული კულტურული კუთვნილება გააჩნიათ • პატივს სცემს განსხვავებულ კულტურებს - კულტურულ	• შეუძლია გაემიჯნოს საკუთარ შეხედულებებს და გაითვალისწინოს სხვა ადამიანების შეხედულებები საკუთართან ერთად • შეუძლია სხვა კულტურული პრაქტიკის, შეხედულებების და ღირებულებების გააზრება და მათი დაკავშირება საკუთართან	• იცის რომ არსებობს შინაგანი მრავალფეროვნება და კულტურული ჯგუფებს ახასიათებს ჰეტეროგენურობა • იცის რა არის: ვარაუდი, წინასწარ აკვიატებული შეხედულება, წინაგანსჯა, სტერეოტიპი, ცრურწმენა, ფარული და აშკარა დისკრიმინაცია, თვითდისკრიმინაცია • იცის ენობრივი და კულტურული

შეხედულებებს, ღირებულებებს, პრაქტიკას, დისკურს და პროდუქტებს • ინტერესს გამოხატავს სხვა კულტურების ფასეულობების მიმართ		კუთვნილების გავლენა სამყაროსა და სხვა ადამიანების მიმართ აღქმაზე

2. კულტურათაშორისი კომუნიკაცია

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• არის გახსნილი, ცნობისმოყვარე და აქვს სურვილი, რომ ისწავლოს ადამიანებისაგან და ადამიანების შესახებ, რომელთაც მისგან განსხვავებული კულტურული კუთვნილება გააჩნიათ • აქვს სურვილი და მზადყოფნა, გამოხატოს ემპათია ადამიანების მიმართ, რომელთაც მისგან განსხვავებული კულტურული კუთვნილება გააჩნიათ • აქვს სურვილი და მზადყოფნა, კითხვის ქვეშ დააყენოს და	• შეუძლია გაიგოს, უთანაგრძნოს და უპასუხოს სხვა ადამიანების აზრებს, შეხედულებებს, ღირებულებებს და გრძნობებს (ემპათია) • შეუძლია საკუთარი აზროვნების შეცვლა და ადაპტირება სიტუაციიდან და კონტექსტიდან გამომდინარე • შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს და განსაჯოს კულტურული შეხედულებები, ღირებულებები, პრაქტიკა, დისკურსები და პროდუქტები, მათ შორის ისინი,	• იცის, რომ სხვადასხვა ხალხების ენებზე შეიძლება უნივერსალური იდეების გამოხატვა უნიკალური გზით; • იცის რომ კულტურებს ახასიათებს გამოხატვის ფორმები, რომელთა გაგება შესაძლოა რთული იყოს რომელიმე კონკრეტული ენის საშუალებით; • იცის, რომ სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებს მიკუთვნებული ადამიანები შეიძლება იყენებდნენ განსხვავებულ ვერბალურ და

კრიტიკულად შეაფასოს ის რაც, როგორც წესი, აღიქმება აუცილებლად და ნორმალურად წარსულში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ● ეძებს შესაძლებლობებს, რომ იურთიერთოს და ითანამშრომლოს ადამიანებთან, რომელთაც მისგან განსხვავებული კულტურული კუთვნილება გააჩნიათ ● გამოხატავს პოზიტიურ დამოკიდებულებას კულტურათაშორისი ურთიერთობებისადმი ● გამოხატავს მზადყოფნას სტერეოტიპების დასაძლევად	რომლებიც მის კულტურულ კუთვნილებასთან არის დაკავშირებული და შეუძლია ახსნას მისი მოსაზრებები ● შეუძლია საკუთარი ქცევის ადაპტირება ახალ კულტურულ გარემოსთან - მაგალითად, თავი აარიდოს ისეთ ვერბალურ და არავერბალურ ქცევის ფორმებს/სახეებს, რომლებიც უპატივცემულობად და შეურაცხყოფად შეიძლება იყოს აღქმული ადამიანების მიერ, რომელთაც განსხვავებული კულტურული კუთვნილება გააჩნიათ ● შეუძლია ლინგვისტური, სოციოლინგვისტური და დისკურსიული უნარების გამოყენება, მათ შორის კომუნიკაციაში ბარიერების დასაძლევად ● შეუძლია იმოქმედოს როგორც მედიატორმა/შუამავალმა კულტურათაშორის ურთიერთობებში	არავერბალურ კომუნიკაციის საშუალებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მათი თვალსაზრისით ● იცნობს შეხედულებებს, ღირებულებებს, პრაქტიკას, დისკურსებს და პროდუქტებს, რომელიც შეიძლება გამოიყენონ ადამიანებმა, რომელთაც განსაზღვრული კულტურული კუთვნილება გააჩნიათ ● იცის კულტურული, სოციალური და ინდივიდუალური ურთიერთქმედების პროცესები, ისევე როგორც ცოდნის სოციალური კონსტრუქციის ბუნება ● იცნობს საკუთარი ქვეყნის კულტურულ მრავალფეროვნებასა და მის მნიშვნელობას

3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აფასებს და იაზრებს ეროვნული კულტურული (მატერიალური და არამატერიალური) მემკვიდრეობის და მისი დაცვისა და მოვლა-შენახვის მნიშვნელობას • აღიარებს და ინტერესით ეცნობა თემში არსებულ ადგილობრივი მატერიალური და არამატერიალურ ფასეულობებს	• შეუძლია ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალური და არამატერიალური) ძეგლების დაცვისა და მოვლა-შენახვის აქტივობების დაგეგმვა და მათში მონაწილეობა • შეუძლია დააკავშიროს სხვადასხვა ეპოქის ეროვნული კულტურის ნამუშევრები და განვითარების ასპექტები, მათ შორის მსოფლიო კულტურის განვითარებასთან • შეუძლია ტრადიციების გამოყენება და მათი კრიტიკულად შეფასება • შეუძლია ეროვნული კულტურის ნამუშევრების პრეზენტაცია • შეუძლია თემში არსებულ ადგილობრივი მატერიალური და არამატერიალურ ფასეულობების დაცვა	• იცნობს ეროვნული და მსოფლიო კულტურის ძირითად ნამუშევრებს • იცის ეროვნული კულტურის ისტორია და მისი როლი და მნიშვნელობა მსოფლიო კულტურის ისტორიაში • იცის ეროვნული კულტურული (მატერიალური და არამატერიალური) მემკვიდრეობის ძელგები და მათი მნიშვნელობა • იცის ეროვნული კულტურული (მატერიალური და არამატერიალური) მემკვიდრეობის ძელგების დაცვისა და მოვლა-შენახვის ძირითადი პრინციპები, გზები და საშუალებები • იცნობს ადგილობრივ მატერიალურ და არამატერიალურ ფასეულობებს • იცნობს ძირითად ადგილობრივ და ეროვნულ ტრადიციებს

4. კულტურული თვითგამოხატვა ხელოვნების და შემოქმედების საშუალებით

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• მიაჩნია რომ კულტურული თვითგამოხატვისთვის მისაღებია არაძალადობრივი და შემოქმედებითი ფორმები	• შეუძლია სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის გამოყენება თვითგამოხატვისთვის • შეუძლია კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და მართვა	• იცის ხელოვნების დარგები (მხატვრობა, ლიტერატურა, კინემატოგრაფია და სხვ.) • იცის გამოხატვის ფორმები (არაძალადობრივი ქცევა, არაძალადობრივი და კრეატიული გამოხატვა, არასტანდარტული აქცია-ღონისძიებები და სხვ.)

9. ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპეტენცია

მიზანი: განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას საშუალებას მისცემს, იზრუნოს საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

თემატური მოდულები:
1. ჯანმრთელობის დაცვა და მავნე ჩვევები
2. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და მავნე ჩვევები
3. თავისუფალი დროის ორგანიზება, რეკრეაცია

1. ჯანმრთელობის დაცვა და მავნე ჩვევები

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აღიარებს ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობას და გამოხატავს მზაობას, მიიღოს ამისათვის აუცილებელი ზომები • აღიარებს კვალიფიციური დახმარებისათვის მიმართვის აუცილებლობას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში ან პროფილაქტიკის მიზნით • აღიარებს ცხოვრების ჯანსაღი	• შეუძლია ალკოჰოლის, თამბაქოსა და ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებისაგან, ასევე აზარტული თამაშებისგან საკუთარი თავის დაცვა მავნე ზეგავლენის არსებობის პირობებში • შეუძლია თავის დაცვა მავნე საკვებისაგან, საკუთარი კვების ოპტიმალური (არსებულ რესურსებთან შესაბამისი) რაციონის შემუშავება ან მისი შემუშავების	• ფლობს ინფორმაციას ჯანმრთელობის ძირითადი დარღვევებისა და მათი სიმპტომების შესახებ • იცის, თუ რომელი ზოგადი სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში უნდა მიმართოს კვალიფიციურ დახმარებას • იცნობს თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ადამიანის ორგანიზმზე მავნე ზეგავლენის მექანიზმებს • იცნობს თამბაქოს, ალკოჰოლისა და

წესის დაცვის მნიშვნელობას ● აქვს უარყოფითი დამოკიდებულება ალკოჰოლის, თამბაქოსა, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და აზარტული თამაშების მიმართ ● მოუწოდებს გარშემომყოფებს, არ მოიხმარონ თამბაქო მისი ან სხვა არამწეველი პირების თანდასწრებით ● უარს ამბობს ალკოჰოლის, სიგარეტისა და ნარკოტიკული საშუალებების მართლსაწინააღმდეგო შეძენასა და მოხმარებაზე, მათ შორის, ამგვარი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაშიც ● აღიარებს ჯანსაღი კვების მნიშვნელობას ● აღიარებს პირადი ჰიგიენის წესების დაცვის მნიშვნელობას	პროცესში მონაწილეობა ● შეუძლია პირადი ჰიგიენის დაცვა ● მავნე ჩვევებისაგან გათავისუფლების სურვილის შემთხვევაში შეუძლია მიმართოს არსებულ სერვისებსა და პროგრამებს კვალიფიციური დახმარებისათვის	ნარკოტიკული საშუალებების შედეგად ავადობისა და სიკვდილიანობის როგორც ადგილობრივ, ისე მსოფლიო ძირითად მონაცემებს. ● იცნობს აზარტული თამაშების ზეგავლენის მექანიზმებს ადამიანის ფსიქიკაზე ● იცის აზარტული თამაშებით გატაცების მიზეზით კანონდარღვევის ჩადენის მაღალი რისკის შესახებ ● იცის ზოგადი დებულებები კანონიდან მოზარდთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ (მოზარდთა მიერ ალკოჰოლის მოხმარების აკრძალვა, მათთვის თამბაქოსა და ალკოჰოლური საშუალებების მიყიდვის აკრძალვა, აზარტულ თამაშებთან წვდომის შეზღუდვა და სხვა) ● იცნობს დაბალანსებული ჯანსაღი კვების ძირითად პრინციპებს ● იცნობს პირადი ჰიგიენის დაცვის წესებს ● იცნობს მავლე ჩვევებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობებსა

		და არსებულ სამედიცინო თუ სხვა სახის სერვისებს

2. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
• აღიარებს რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობას და გამოხატავს მზაობას, იმოქმედოს დაავადებათა პროფილაქტიკისათვის რეკომენდებული წესების გათვალისწინებით • კრიტიკულად ეკიდება არაკვალიფიციური პირებისგან მიღებულ ინფორმაციას სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მკურნალობისა და აბორტის ხალხური მეთოდების შესახებ; • მიაჩნია, რომ რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების სიმპტომების წარმოშობისთანავე	• შეუძლია დაიცვას საკუთარი თავი და პარტნიორი სქესობრივად გადამდები ინფექციებისა და არასასურველი ორსულობისგან • რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების ან არასასურველი ორსულობის შემთხვევაში შეუძლია მიმართოს შესაბამის კვალიფიციურ სერვისებს და ისარგებლოს მათი მომსახურებით • საკუთარი რეპროდუქციული ან/და პაციენტის უფლებების დარღვევის შემთხვევაში შეუძლია მიმართოს შესაბამის უწყებებს მათი დაცვის	• იცის რეპროდუქციის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და რეპროდუქციული ფუნქციის არსი • იცნობს სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებს, მათს სიმპტომებს, მათი გავრცელებისა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის ძირითად მექანიზმებს • იცნობს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისაგან თავის დაცვის საშუალებებს • აქვს ინფორმაცია აბორტის, მისი შესაძლო გართულებებისა და არასასურველი ორსულობისგან დაცვის გზების (კონტრაცეპციისა და კონტრაცეპტივების) შესახებ • იცნობს ადამიანის რეპროდუქციულ უფლებებს და პაციენტის უფლებებს

უნდა მიმართოს კვალიფიციურ დახმარებას ● აღიარებს საკუთარი თუ სხვისი რეპროდუქციული და პაციენტის უფლებების დაცვის მნიშვნელობას და კანონის დაცვით და მის ფარგლებში რეაგირებს უფლებადარღვევებზე	უზრუნველყოფის მოთხოვნით	და მათი უზრუნველყოფის ძირითად მექანიზმებს ● იცის ვის და როგორ მიმართოს რეპროდუქციული უფლებების დარღვევის ან/და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის შემთხვევაში და მათი პროფილაქტიკის მიზნით

3. თავისუფალი დროის ორგანიზება, რეკრეაცია

დამოკიდებულება	უნარი	ცოდნა
● აღიარებს ჯანსაღი რეკრეაციისა და გართობის მნიშვნელობას ● აქვს მოტივაცია, გამოსცადოს ჯანსაღი დასვენებისა და გართობის მრავალფეროვანი ფორმები ● აქვს მოტივაცია, დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად დაგეგმოს და განახორციელოს ინდივიდუალური თუ ჯგუფური გართობა-დასვენების პროცესი ● აღიარებს სპორტის მნიშვნელობას ჯანმრთელობის დაცვისა და	● შეუძლია საკუთარი თავისუფალი დროის დაგეგმვა მრავალფეროვანი დასვენება-გართობის ფორმების გამოყენებით ● შეუძლია საკუთარი და სხვების გართობა-დასვენების პროცესის ორგანიზება დამოუკიდებლად და ჯგუფურად ● შეუძლია ჰობი-განათლებისა და არაფორმალური განათლების სერვისების მომწოდებლებთან	● იცნობს რეკრეაციისა და გართობის მრავალფეროვან ფორმებს (მოგზაურობა/ტურიზმი და მისი სახეობები, აქტივობები ღია ცის ქვეშ, ინტელექტუალური თამაშები, ჯგუფური თამაშები კრეატიულობასა და საზრიანობაზე, საზოგადოებრივი გართობის ცენტრები და სხვა) ● აქვს ინფორმაცია არაჯანსაღი გართობის შესაძლო შედეგების შესახებ ● იცის თავისუფალი დროის დაგეგმვის მიდგომები და ტექნიკები

ჯანსაღი ცხოვრების წესის თვალსაზრისით	დაკავშირება და გაწევრიანება ინტერესთა ჯგუფებში ● შეუძლია სპორტის სახეობებში მონაწილეობა საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად	● იცნობს ჰობი და არაფორმალური განათლების არსებულ სერვისებსა და შესაძლებლობებს (სპორტული ცენტრები და ჯგუფები, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა ახალგაზრდული ცენტრების მიერ შეთავაზებული სერვისები და ა.შ.) ● აქვს ინფორმაცია ხელმისაწვდომი სპორტული პროგრამების/კლუბების/ღონისძიებების შესახებ და იცნობს სპორტულ პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებს